ანოტაცია
ქაფურის მალამო 10%
Camphor ointment 10%

მალამო გარეგანი ადგილობრივი გამოყენების, გამოიყენება ვეტერინარიაში

შემადგენლობა: 1 გ შეიცავს:
აქტიური ნივთიერება: ქაფურის ფხვნილი – 100 მგ

გარეგნული აღწერა: უფერო - მოთეთრო ფერის მალამო, ქაფურის დამახასიათებელი სუნით.

ჩვენება: გარეგანი გამოყენების პრეპარატი. ავლენს ანთების საწინააღმდეგო მოქმედებას. გამოიყენება ცხოველებში ბურსიტების, მიოზიტების სამკურნალოდ, ასევე ძროხებში მშრალი პერიოდის დროს სუბკლინიკური მასტიტის სამკურნალოდ.

გვერდითი მოქმედება:
პრეპარატის გამოყენების ინსტრუქციის შესაბამისად გამოყენებისას გვერდითი მოვლენები არ აღინიშნება. შეიძლება აღინიშნოს გადამეტებული მგრძნობელობა პრეპარატის კომპონენტების მიმართ.

უკუჩვენება: არ აღენიშნება.
სამიზნე სახეობა: სასოფლო-სამეურნეო და შინაური ცხოველები

გამოყენების მეთოდი, დოზირება
მალამო უნდა შეეზილოს კანის დაზიანებულ კერას და მის გარშემო ქსოვილს ან ედება დოლბანდის სახვევის სახით. გადახვევებს და შეზელვას აწარმოებენ დღეში 2-3ჯერ გამოჯანმრთელებამდე.

სპეციალური გაფრთხილებები

განსაკუთრებული სიფრთხილის ზომები, რომელიც უნდა დაიცვან პირებმა, რომლებიც იყენებენ ვეტერინარული პრეპარატს ცხოველებზე: პრეპარატთან მუშაობისას უნდა დაიცავათ პირადი ჰიგიენისა და უსაფრთხოების წესები.
ჭარბი დოზირება: ზედოზირების სიმპტომები არ გამოვლენილა

მოქმედების სპეციფიკურობა: სპეციფიკური ეფექტები პირველი გამოყენებისა და მოხსნისას დადგენილი არ არის.

ურთიერთქმედება სხვა წამლებთან (და ურთიერთქმედების სხვა ფორმები):

არ შეურიოთ სხვა ვეტერინარულ სამკურნალო საშუალებებს.

ლაქტაცია და მაკეობა: პრეპარატი გამოიყენება მაკეობისა და ლაქტაციის პერიოდში.

ლოდინის პერიოდი: 0 დღე

შენახვის პირობები:
პრეპარატი უნდა ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას არაუმეტეს 20°C ტემპერატურისა.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

შეფუთვა: 20 გ მალამო პოლიეთილენის ტუბში

ფარმაკოლოგიური ჯგუფი: ანტისეპტიკური, ანთების საწინააღმდეგო საშუალება.
ATC vet code: QC01EB02

მწარმოებელი: შპს ,,ბიოტეკსი", საქართველო ქ.თბილისი, იუმაშევის ქ. #8